საქართველოს მთავრობის

დადგენილება №500

2018 წლის 25 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 ივლისის №326 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 ივლისის №326 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/07/2017, 340080000.10.003.020035) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება, ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს – ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“:

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).

2. პროგრამის განმახორციელებელია სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).“;

ბ) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. ამ მუხლით გათვალისწინებული საწარმოს ტერიტორიაზე მწვანე საფარის მოწყობას უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – ეროვნული საშენი მეურნეობა.“;

გ) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო ნიშანზე დაიტანება სამინისტროს ლოგო, სააგენტოს ლოგო, QR კოდი, ინდექსი – „GEBB“ და 8-ნიშნა საიდენტიფიკაციო კოდი.“.

3. დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

თაფლის გადამამუშავებელი საწარმოს აღჭურვილობა	რაოდენობა
თაფლის რეზერვუარი (1500 ლიტრი, ორკედლიანი, გამათბობლით)	1
თაფლის საკუპაჟე შემრევით 2-კედლიანი (750 ლიტრი)	2
თაფლის საკუპაჟე შემრევით 2-კედლიანი (1500 ლიტრი)	2
სწრაფი გამავლობის ფილტრი	1
ნეილონის ფილტრი	1
ტუმბო 1500 ლ/სთ	5
მაგიდა უჟანგავი ლითონის 2 სამუშაო ადგილით (2000 x 800 x 850)	4
თაფლის ჩამოსასხმელი ტექნოლოგიური ხაზი (თაფლის ჩამოსხმა, ქილების მიწოდება, ქილების მოხუფვა, ხუფზე ჩაჩის დატანა, ხუფზე ჩამოსხმის თარიღისა და შენახვის ვადის დატანა ლაზერით, ეტიკეტირება) წარმადობა 400 ლ/სთ	1
CIP რეცხვის სისტემა	1
მინიპაკეტებში ჩამოსხმის დანადგარი	1
ფიჭის დამამზადებელი დანადგარი	1
წყლის გამაცხელებელი	1
ელექტროსასწორი (500 კგ)	1
სამუშაო ურიკა ბიდონებისთვის	1
სამუშაო ურიკა პალეტებისთვის	1
ქილების სტერილიზატორი (ახალი, პირველადი გამოყენების ქილების ჰაერით მყარი ნაწილაკებისაგან გასუფთავება და ულტრაიისფერი დასხივებით მიკრობიოლოგიური სტერილიზაცია)	1
სამრეწველო არმატურა	
მილები (მეტრი)	150
ონკანი	14
მუხლი	40
გადამყვანი	10
სწრაფჩამხსნელი	30
დიზელგენერატორი 40 კვტ	1
რეფრაქტომეტრი (შაქრები, წყლის შემცველობა)	1
PH-მეტრი + ელგამტარობის ელექტროდი	1
სპექტროფოტომეტრი (ოქსიმეთილფურფუროლის ანალიზისთვის)	1
ციფრული კოლორიმეტრი	1
მუფელის ღუმელი	1

მიკროსკოპი	1
ტრანსფორმატორი 400 კვტ	1

.“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**